

Le **27 SEP. 2017**

N° **0431**

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის/მეგლის სააღრიცხვო ზარათი

№15



1. მიუთითეთ ელემენტის სახელწოდება

ქართული ჭიდაობა

2. აღნიშნეთ ელემენტის სახეობა

1 ზეპირი ტრადიცია და გამოხატვის ფორმა	
2 საშემსრულებლო ხელოვნება	X
3 საზოგადოებრივი გამოცდილება	X
4 გარესამყაროსთან დაკავშირებული გამოცდილება	
5 ხელოსნობის დარგი და ტექნოლოგია	X

3. აღნიშნეთ ელემენტის გავრცელების არეალი

1. ამჟამინდელი გავრცელების არეალი	საქართველო
2. ისტორიული გავრცელების არეალი	თანამედროვე და ისტორიული საქართველო
3. წარმოშობის ადგილი	ისტორიული საქართველო
4. კულტურული სივრცე	

4. მიუთითეთ ელემენტის წარმოშობის დრო

სავარაუდოდ ძვ.წ.ად. VI-V სს. (ელაშვილი, ვ. „ქართული ჭიდაობა“, თბ. 1975; გაზ. ლელო, N119. 1957. 03.X.)

5. ელემენტის ფუნქცია

თავდაპირველი	ამჟამინდელი
საბრძოლო ხელოვნების ნაწილი; გასართობ-სანახაობითი ასპარეზობა, რიტუალურ-სანახაობითი დღესასწაულის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი	სპორტის სახეობა, გასართობი, სასეირო სანახაობა

6. ელემენტის მატარებლები

1. თემები	საქართველოს სოფლებისა და ქალაქების მამაკაცი მოსახლეობის დიდი ნაწილი (6 წლიდან დაახლოებით 45 წლამდე) ძირითადად შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, სვანეთის, იმერეთის, აჭარის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს, გურიის თემები და საქართველოს ქალაქების მოსახლეობა.
2. ჯგუფები	სპორტული ჯგუფები და სექციები, რომლებიც ფუნქციონირებენ საგანმანათლებლო-სასწავლო დაწესებულებებში, სპორტულ კლუბებთან, რაიონულ კულტურის სახლებში, სხვა დაწესებულებებში.
3. ინდივიდები /ოჯახები (სასურველია მიუთითოთ რაოდენობრივი მაჩვენებელი, კონკრეტული გვარ-სახელები)	ბერუაშვილების ოჯახი ქარელის თემიდან (შიდა ქართლი), დავითაშვილების ოჯახი ახმეტის თემიდან (კახეთი), ყურაშვილების ოჯახი კასპის თემიდან (შიდა ქართლი), ხაბარელების ოჯახი ქარელის თემიდან (შიდა ქართლი) მჭედლიშვილების ოჯახი გორიდან (შიდა ქართლი), მუმლაძეების ოჯახი ლაგოდეხის თემიდან (კახეთი); ხუბულურების ოჯახი - სკრას თემი (შიდა ქართლი) გურამ თუშიშვილი - თბილისი, ზაქარია მოხიაშვილი - თბილისი, მამულაშვილი გიორგი -კასპის თემი (შიდა ქართლი), შოთა ჩოჩიშვილი -გორი (შიდა ქართლი), გიორგი გაჩეჩილაძე -ზესტაფონი (იმერეთი), კობა გოლეტიანი ოჯახი- ცაგერის თემი (რაჭა-ლეჩხუმი), ალბერტ ზურაბიანი - სვანეთი, მურთაზ თურთია -სამრეგრელო, ბექა ღვინიაშვილი რუისის თემი (ქვემო ქართლი), ოთარ ყურაშვილი - თბილისი, ვალერი პარუნაშვილი -საგარეჯოს თემი, გოჩა ოსაძე - თბილისი, გურამ სამხარაძე - ყვარელის თემი (კახეთი), რეზო თაბუკაშვილი - მცხეთა, ნიკოლოზ მელიქიშვილი - რუსთავი (ქვემო ქართლი), ზვიად

	ნიგურიანი - მესტიის თემი (სვანეთი), რობერტ მიძიშვილი დუშეთის თემი (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), მამედ მამედოვი - მარნეულის თემი (ქვემო ქართლი), მამედ მამედოვი - თელავი (კახეთი), ვახტანგ ზოიძე ქობულეთი და სხვა.
--	---

7. ობიექტის პრაქტიცირებაში/დაცვაში/აღორძინებაში ჩართული (ან მასთან კავშირში მყოფი) ინსტიტუციები, ორგანიზაციები და ა.შ.

„ქართული ჭიდაობის“ დაცვასა და მის პოპულარიზაციას ახორციელებს არაერთი არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაცია. მათი ქმედებების კოორდინაციას და ჰარმონიზირებას, ადგილობრივ თემებში ჭიდაობის პრაქტიცირების ხელშემწყობ საქმიანობას ხელმძღვანელობს ააიპ „ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია“, რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე საქართველოს რეგიონებში ხელი შეუწყო რეგიონალური ფედერაციების ჩამოყალიბებას. ადგილებზე ქართული ჭიდაობის დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში ჩართულია: ააიპ ქართული ჭიდაობის კახეთის რეგიონალური ფედერაცია, ააიპ ქართული ჭიდაობის შიდა ქართლის რეგიონალური ფედერაცია, ააიპ ქართული ჭიდაობის იმერეთის რეგიონალური ფედერაცია, ააიპ ქართული ჭიდაობის ქვემო ქართლის რეგიონალური ფედერაცია, ააიპ ქართული ჭიდაობის სამეგრელო -ზემო სვანეთის ფედერაცია, ააიპ ქართული ჭიდაობის თბილისის ფედერაცია, ააიპ აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაცია, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“, სპორტული სკოლები, სპორტული გაერთიანებები, და ა.შ.

საქართველოს სამთავრობო და სასწავლო საგანმანათლებლო სექტორში ქართული ჭიდაობის კვლევის, დაცვისა და პოპულარიზაციის მიმართულებით საქმიანობენ: საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ეროვნული არქივი, ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ადგილობრივი თვითმმართველობა, საჯარო და კერძო სკოლები და ა.შ.

8. ობიექტის აღწერა

ქართული ჭიდაობა ფიზიკურ წვრთნასა და სიძლიერეზე ორიენტირებული მამაკაცთა ასპარეზობაა, უძველესი ტრადიციული საბრძოლო-სპორტული შეჯიბრია, რომელმაც მე-19 საუკუნის შემდეგ დაკარგა საბრძოლო დანიშნულება და ეფექტურ, სპორტულ სანახაობად იქცა. ელემენტი კომპლექსურია, მის სპეციფიკას შერკინების, მუსიკის, ცეკვისა და ჩაცმულობის ერთობლიობა განაპირობებს. უმეტესად იმართება ღია ცის ქვეშ, ბალახით ან ნახერხით დაფარულ, ან თივამოყრილ შემოსაზღვრულ მოედანზე, დათქმულ დროს, გულშემატკივრების მიერ შეკრულ წრეში, რომელსაც წინასწარ წმენდენ ქვებისაგან. პაექრობის დაწყებას აღნიშნავს მუსიკა (აღმოსავლური ზურნა, ქართული დოლი). ჭიდაობას იწყებენ ყმაწვილები, აგრძელებენ ზრდასრული ფალავნები.

მეტოქეები ხელის ჩამორთმევით ცვლიან ადგილებს და ჩოხაში ხელის ჩავლებით იწყებენ ორთაბრძოლას. მოპაექრეები თანდათან აქტიურდებიან და სპეციალური ილეთების გამოყენებით ცდილობენ მოიპოვონ უპირატესობა. მუსიკა, ორთაბრძოლის კვალდაკვალ ბრძოლისუნარიანობას უღვივებს, ტემპო-რიტმს კარნახობს მოპაექრეებს, აზარტს ჰმატებს პაექრობას. შერკინება ეფექტური, სანახაობრივია და მრავალრიცხოვან გულშემატკივარს იზიდავს.

შერკინება გრძელდება ხუთი წუთი. გამარჯვება ქულების უპირატესობით განისაზღვრება. დროის ამოწურვამდე „სუფთა გდებით“, ბეჭებზე დანარცხებული - წაგებულია. აკრძალულია დაცემულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლის გაგრძელება. პაექრობის დასრულებისას მეტოქეები, ერთმანეთის მიმართ

პატივისცემას ხელის ჩამორთმევითა და მხარ-მკერდის მიბჯენით გამოხატავენ. ზოგჯერ, შერკინების ბოლოს, ფალავნები მოედანს ქართული ცეკვის ილეთების შესრულებით ტოვებენ. ხშირად, გამარჯვებული ფალავანი ცოცხალი ყოჩით, ან სხვა პრიზით ჯილდოვდება.

ქართულ ჭიდაობას სხვა ხალხების ტრადიციულ საბრძოლო-სპორტული სახეობებიდან გამოარჩევს სპეციფიკური ილეთები, რომლებიც ძირითადად, საერთოა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, თუმცა არის ლოკალური განსხვავებები.

ქართული ჭიდაობის მრავალფეროვნებას თან ახლავს ილეთების სიმრავლე, რომელთა უმეტეს ნაწილის ადრინდელი სახელწოდებები დღემდე შემორჩა. ასეთებია: კაურები, ღოჯურები, თემოები, მოგვერდები, კისრულები, სარმები და სხვ. ილეთებს ძირითადად 8 ჯგუფად ჰყოფენ.

სარმა ისეთი მოქმედებაა, როცა ფეხის მოდება ხდება, მოწინააღმდეგე, თავის ფეხს შეუყოფს მოწინააღმდეგეს ფეხებშუა; ქუსლითა და წვივის უკანა ნაწილს მოსდებს მოწინააღმდეგის წვივის უკანა ნაწილს და ფეხით თავისკენ ეწევა, ხელებით კი უბიძგებს მოწინააღმდეგეს. არის სარმის სხვადასხვა ვარიანტები: ამოსმული შუასარმა, ქუსლური, გარესარმა, განგამოკრული შუა სარმა, გამოკრული შუასარმა და ა.შ.

კაურის დროს მოჭიდავე ერთ ხელს ჩაჰკიდებს ჩოხის ყურში, მეორე ხელს გადაუტარებს მხარზე და ჩაავლებს ქამარში, ფეხს კი შეყოფს მოწინააღმდეგის ფეხებშუა, შემოხვევს, ფეხისა და თემოს ბიძგებით მაღლა ასწევს მოწინააღმდეგეს და გამოჰყავს წონასწორობიდან, თავისკენ მიიზიდავს და აგდებს გულაღმა. კაურებიც სხვადასხვა სახისაა: მკლავური გარე კაური, მუხლქვეშა შუა კაური, ჩაკეტილი შუა კაური და ა.შ.

ცერულის დროს მოჭიდავე ფეხის ტერფის წინა ნაწილით მოწინააღმდეგეს გარედან აწვება წვივზე, მხრებთან ჩავლებული ერთი ხელით მიიზიდავს, ხოლო მეორეთი განიზიდავს წონასწორობიდან გამოსულ მოწინააღმდეგეს. ცერულსაც გააჩნია თავისი ვარიანტები: ცერული მხარეთმოს დაჭერით, ცერული მხრებში ხელის ჩავლებით და სხვ. ღოჯური ისეთი მოქმედებაა, როცა მოჭიდავე ხელებს შემოხვევს მოწინააღმდეგეს წელზე, თავისკენ მიიზიდავს, აიტაცებს და ტანის მარცხნივ ან მარჯვნივ შემობრუნებით გულაღმა აგდებს სარბიელზე. ღოჯურის სახეებია: წინა ღოჯური, უკანა ღოჯური, გვერდითი ღოჯური

მოგვერდის დროს მოჭიდავე ხელს ავლებს მოწინააღმდეგეს ქამარსა და ჩოხის ყურში, ერთი ფეხი წინ უდგას მეორე უკან, წონასწორობას გადაიტანს წინა ფეხზე, მუხლებში ოდნავ მოიხრება, შემობრუნდება, გვერდს შეაცურებს მოწინააღმდეგის მუცლის ქვეშ, უბიძგებს მუცლის არეში. მუხლებით გაიმართება, მოწინააღმდეგეს გადმოიტანს და აგდებს. მოგვერდის სახეებია: მოკლე მოგვერდი, მკლავჩაკეტილი მოგვერდი, ღრმა მოგვერდი, გრძელი მოგვერდი და ა.შ.

თემოს ჩატარებისას მოჭიდავე მოწინააღმდეგეს ხელს ავლებს ჩოხასა და ქამარში, წონასწორობას გადაიტანს წინა ფეხზე, უკანა ფეხს გადადგამს მოწინააღმდეგის ფეხებშუა, მუხლებში ოდნავ მოიხრება, თემოს მიაყრდნობს მოწინააღმდეგის ბარძაყსა და მუცლის არეს, თემოს უბიძგებს. მუხლებში გაიმართება, ხელით მოიზიდავს და თემოზე გადმოტარებით აგდებს გულაღმა. თემოსაც გააჩნია თავისი ვარიანტები: ორმხრივი თემო, ხელმოხვეული თემო, შებრუნებული თემო და ა.შ.

კისრულის ჩატარებისას მოჭიდავე ხელს ავლებს მოწინააღმდეგეს ჩოხაში და ცრუ მოძრაობით გამოიყვანს წონასწორობიდან, სწრაფად შებრუნდება, მხრებს და წელს შეუცურებს მუცელსა და მხრებთან, მუხლებში გაიმართება და მოწინააღმდეგეს მოიკიდებს ზურგზე, წინ დაიხრება, კისერზე გადმოტარებით აგდებს ძირს.

ბრუნების ჩატარებისას მოჭიდავე მოწინააღმდეგეს თემოზე ან შუაკაურზე მყოფს აწევს მაღლა ხელებით და ფეხით, აგდებს გულაღმა უკან. ბრუნების სხვადასხვა სახისაა: გარეკაურის ბრუნი, ხელგადავლებული

შუაკაურის ბრუნის და ა.შ. დღეისათვის დაფიქსირებულია ქართული ჭიდაობის 200-მდე ილეთი და კონტრ-ილეთი. ელემენტის შემოქმედებითობას და მოჭიდავის ოსტატობას ილეთების კომბინირება განსაზღვრავს.

ქართული ჭიდაობისთვის დამახასიათებელია რაინდული სული. მიუღებელია სარბიელიდან გაქცევა, დაცემულთან ჭიდაობა, მოწინააღმდეგის განზრახ დაშავების მცდელობა. შერკინება პირდაპირია: ხელი-ხელს ებრძვის, ფეხი-ფეხს, თემო-თემოს. გამორიცხულია მიპარვა, ან მზაკვრული მოქმედება. მოჭიდავენი ჭიდაობის დაწყებისას ერთმანეთის პირისპირ უნდა იდგნენ, თუკი ჭიდაობისას რომელიმე დაეცემა, დაუშვებელია მასთან ბრძოლის გაგრძელება, მასზე მიწოლა ან მოედნიდან გადაგორება.

ჭიდაობის სრულყოფა, თაობიდან თაობაზე გადაცემა ხდება ოჯახებში, სოფლებში, თემებში. ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, ღია სივრცეში სათამაშოდ გამოსული მოზარდები, მწვრთნელ-მასწავლებლის გარეშე იწყებენ ჭიდაობის უნარ-ჩვევების დახვეწას, იყენებენ ნანახ, თუ უკვე გამოცდილ და დახვეწილ თვითშესწავლილ ილეთებს. ეს მათთვის გართობის, თავისუფალი დროის გატარების, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საუკეთესო საშუალებაა. ხშირად, სოფლის გამოცდილი ქომაგები ეხმარებიან მათ ილეთის სწორად გამოყენებაში. ქართული ჭიდაობის შესწავლა არაფორმალურთან ერთად ხდება ფორმალურად, როგორც საშუალო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდისა და სპეციალური პროგრამების ფარგლებში, ისე ქართული ჭიდაობის რეგიონალური ფედერაციების მიერ.

ქართული ჭიდაობის ჯგუფი-სექციები, წრეები ფუნქციონირებს თითქმის ყველა სოფლისა თუ ქალაქის სპორტულ ცენტრებში, საჯარო და კერძო სკოლებში, კლუბებში.

ააიპ „საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის“ და რეგიონალური ფედერაციების საქმიანობა მიმართულია ელემენტის ტრადიციების გაგრძელებისკენ. ისინი სათავეში უდგანან სოფლად თუ ქალაქად სპორტულ-სანახაობითი შეჯიბრებების მოწყობას, საგანმანათლებლო სექტორსა და მოყვარულთა გაერთიანებებში გამოცდილი ფალანგების ჩართვით, ცოდნის გადაცემის ხელშეწყობას.

გარდა აღნიშნულისა, ელემენტის შესახებ ცოდნის გადაცემა საგანმანათლებლო-პოპულარული პუბლიკაციებით ხდება. არსებობს ქართული ჭიდაობის არაერთი სახელმძღვანელო, სადაც შესულია როგორც ჭიდაობის ისტორია, ასევე ჭიდაობის დღემდე შემორჩენილი ილეთები. ქართული ჭიდაობის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესწავლას ხელს უწყობს ადგილობრივი ტელევიზიითა და მედიის საშუალებებით მისი გაშუქება, ჭიდაობის ტრანსლირება. ბოლო დრომდე ადგილობრივი ტელევიზიით გადაიცემოდა ქართული ჭიდაობის შემსწავლელი გაკვეთილები.

დღეისათვის, ელემენტი სოციალური ურთიერთობის საშუალებაა. ქართულ ჭიდაობას, როგორც რაინდობის ინსტიტუტს, ქართველები საკუთარი იდენტობის გამომხატველად მიიჩნევენ. იგი ხელს უწყობს თემში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მოზარდი თაობის სულიერ და ფიზიკურ აღზრდას, ჯანსაღი პაექრობის სულისკვეთების, ტოლერანტული ბუნების ჩამოყალიბებას; ემსახურება ვაჟკაცური ბუნების პიროვნების გამოვლენას.

შეჯიბრებები იმართება არა მარტო თემში, არამედ სხვადასხვა თემს შორის, მათ შორის ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში და მულტიკულტურული საზოგადოებიდან გამომდინარე ხელს უწყობს: ურთიერთობების გაღრმავებას სხვადასხვა თემებსა და სოფლებს შორის, მიუხედავად ეთნიკური თუ რელიგიური განსხვავებისა; ახალგაზრდების დამეგობრებას; თაობათა შორის

ურთიერთობის განმტკიცებას;

„ქართული ჭიდაობა“ ახასიათებს რაინდული ბუნება. ის ამკვიდრებს მოწინააღმდეგის პატივისცემის, დაცემულის განრიდების უნარს; გამორიცხავს მტკივნეულ და შეურაცმყოფელ ილეთებს; დამარცხება არ გულისხმობს მტრობას. ნებისმიერი პაექრობა მეტოქეებს შორის მეგობრობის გამომხატველი რიტუალითა და ხელის ჩამორმევით სრულდება, ხელს უწყობს სოციუმში ურთიერთპატივისცემის გაღრმავებას.

ელემენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალურ-კულტურული ფუნქციაა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართულ დიასპორებში კულტურული იდენტობის შეგრძნების შენარჩუნება. დიასპორების ორგანიზებით იმართება შეჯიბრებები აზერბაიჯანში, უკრაინაში, აშშ-ში, რუსეთში.

ელემენტი აერთიანებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ტრადიციულად ჩამოყალიბებულ კუთხურ ილეთებს, უზრუნველყოფს მათ სიცოცხლისუნარიანობას, ხელს უწყობს კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და წარმოჩენას.

ქართული ჭიდაობის სამოსი ქართული ეროვნული ტანსაცმლის ნაწილია და მამაკაცის სამოსის მსგავსად, „ჩოხა“ ჰქვია. ჩოხა უსახელო, უსაყელო და წინიდან სიგრძეზე ჩაჭრილი მოკლე ხალათია (სიგრძე-80/90 სმ; კალთების სიგანე 115/125 სმ.). ჩოხა იკერება სქელი და მკვრივი ტილოსგან. კალთების ქობა დაკეცილია. ქამარი მზადდება ტილოს იმავე ქსოვილისგან (200X55) ქობა სამოსლის კიდურის სადები. სვანეთში ჭიდაობისას შალის ხალათს იცვამდნენ. ქამარი ფალავნის კოსტიუმის აუცილებელი ელემენტი იყო, რომელიც წელზე მაგრად უნდა ყოფილიყო მოჭერილი. ფეხზე სვანური ქალამნები ეცვათ, თავზე ჩვეულებრივ, სვანური ქუდი ეხურათ.

ქალები არ ჭიდაობენ, თუმცა ცნობილია ქალთა ჭიდაობის ერთეული შემთხვევები. ქალები აქტიურად გულშემატკივრობენ მოპაექრე ვაჟებს. ბოლო დრომდე საზოგადოებაში დამკვიდრებულია ახალგაზრდა ქალისათვის თავის მოწონების მიზნით ახალგაზრდა მამაკაცების ჭიდაობა.

შიდა და ქვემო ქართლის, კახეთის, იმერეთის და საქართველოს სხვა კუთხეების სოფლებსა თუ რაიონულ ცენტრებში გავრცელებულია შერკინების ტრადიცია ღია ცის ქვეშ, სპეციალურად გამოყოფილ, ნახერხითა თუ ბალახით დაფარულ მოედანზე. ასეთი ასპარეზობა თან სდევს რელიგიურ დღესასწაულებს (გიორგობას, მარიამობას, აღდგომას, კვირაცხოვლობას, ქრისტეშობას, ნინობას, ღვთისმშობლობას, ამალღებას, ზზობას, სამებობას, ხარებას, ფერისცვალებას, ჯვრის ამალღებას პეტრე-პავლობას, ნათლისღებას, იოანე ნათლისცემლობას და ა.შ.)

აღნიშნული დღესასწაულების გარდა, საქართველოს ბევრ სოფელში ზაფხულობით, სახალხო თავყრილობისა თუ ზეიმის მთავარი მოვლენა თითქმის ყოველთვის არის ქართული ჭიდაობა (თელეთში - თელეთობისას, ზერტში - უსანეთობისას, ბეშუმში - შუამთობისას, ფოლადაურში - მარეთობისას, ხაშურში - გორთაობისას, ქსოვრისში - ლაშრობისას, ახალგორში - ერისთაობისას, მარტყოფში - აპარნობისას, თეთრწყლებში - სამასარაგველობისას, იყალთოში - შოთაობისას, სიღნაღში - ვანობისას და ა.შ.).

აღნიშნული ასპარეზობაში ნებისმიერი მსურველი ერთვება. მოჭიდავეებს ჭიდაობაში გამოცდილი თანასოფელი განსჯის და გამრჯვებულსაც ის გამოავლენს. სახალხო ასპარეზობას სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი სიხარულითა და ენთუზიაზმით ელოდება.

ქართული ჭიდაობის ლოკალური ნაირსახეობები დღემდე შემორჩენილი და დამოწმებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ასეთებია:

1. იმერეთში-საბეჭურიდან ჭიდაობა და გიმრაობა
2. რაჭაში-ლოჯური და ხაცური
3. ხევსურეთში-მუქასრისა და მოშ და მოშ

4. გურიაში-ჭედობა და ტეკობა
5. სამეგრელოში-რკინება
6. მთიულეთში-ილლი ღორა
7. საინგილოში-ქამარ ქამარ
8. ქართლ კახეთში-მაჯურა, თვალახვეული, მკერდაობა
9. სვანეთში-ლიბრგიელი, ლიბურძგალი
10. ფრაგმენტულად არის შემორჩენილი აგრეთვე-მესხური ჭიდაობა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სახეობები ჯერ კიდევ არის შემორჩენილი, დღის წესრიგში დგას მათი მიმართ მეტი ყურადღება, ფიქსაცია, პოპულარიზაცია, სამეცნიერო შესწავლა და წახალისება. განსაკუთრებით საშურია სვანეთში გავრცელებული სახეობის (ლიბრგიელი და ლიბურძგალი) და სამცხე-ჯავახეთში არსებული მესხური ჭიდაობის ხელშეწყობა.

საქართველოში, ღია ცის ქვეშ ჭიდაობის ტრადიციის შენარჩუნებისათვის, სასურველია ადგილობრივი თვითმმართველობის უფრო აქტიური ჩართვა ახალი, ტრადიციული საჭიდაო მოედნებისთვის შესაბამისი სივრცის გამოსაყოფად, რაც ხელს შეუწყობს ტრადიციის გაგრძელებას, მომავალ თაობების დაინტერესებას და შესაბამისად, ამ სახეობების პოპულარიზაციას.

ქართული ჭიდაობის შესახებ ისტორიულ ცნობებს ისტორიულ წყაროებში ვხვდებით. სულხან-საბა ორბელიანის (მე-16 მე-17სს) განმარტებით, **ჭიდაობა/ჭიდება** „არს მხეცი და კაცი რა შეიჭიდნენ, გინა მხეცი და მხეცი ანუ პირუტყვი და პირუტყვი; ხოლო კაცი კაცსა რა ეჭიდებოდეს, რკენა ეწოდების“ [სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ. 1991]. ტერმინი – **რკენა/რკინება** კი ბრძოლას, შებრძოლებას ნიშნავს [აბულაძე, ი: ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), გამომც „მეცნიერება“, თბ., 1973].

პირველი ცნობა ქართული ჭიდაობის შესახებ დაცულია IX ს-ის ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში – „ცხოვრება სვიმონ მესუეტისა“, რომელშიც იგი სახელწოდება - **რკენათია** მოხსენიებული. ჭიდაობა თხზულებაში განხილულია, როგორც საბრძოლო ხელოვნების ერთ-ერთი მიმართულება.

შედარებით გვიანდელ, XVI ს-ის ქართულ საისტორიო მწერლობაში – „მესხური ქრონიკები“ მოთხრობილია სამცხე-საათაბაგოს თავკაცის – ყვარყვარეს თავის გადარჩენის ამბავი, რომელიც ხონთქრის კარზე, ხონთქრის მიერ შერჩეული ფალავნის დამარცხებით დაიმსახურა [ქართლის მოქცევისა სუმბატისა და ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითნისა, ტფ, 1890].

ქართული ჭიდაობის სიძველეს ალავერდის კედელზე შესრულებული ჭიდაობის სცენაც ადასტურებს. ქართული სახეები, ტრადიციული სამამაკაცო კაბა, ფეხსამოსის ტიპი და მოძრაობის პლასტიკა, ერთმნიშვნელოვნად, ქართულ ტრადიციულ საჭიდაო ხელოვნებაზე მიანიშნებს [რობაქიძე ალ., „სპორტის ეროვნული სახეობანი“ (ლექციები)].



ქართული ჭიდაობის შესახებ ცნობები დაცულია ასევე ქართულ ფოლკლორში, პროზასა და პოეზიაში. ერთ-ერთი ასეთია მეფე არჩილ II (1647 - 1713) თხზულება – „გაბასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ (არჩილი: "გაბასება თეიმურაზისა და რუსთველისა", *ქართული მწერლობა*, ტ. 6. თბ. 1989). საგულისხმოა ასევე, დაწერილი თუ ზეპირად თქმული მრავალრიცხოვანი **ლეგენდები და ანდაზები**, რაც ქართული ჭიდაობის ხალხში პოპულარობის დასტურია.

„ლეგენდა ამირანზე“:
„ამირან დევი შეიბნენ,
მიწას გაჰქონდა გრიალი,
ამირანმა დევი დასცა,
ადგილი დახვდა ქვიანი,
დასცა და ბეჭი მოსტეხა,
დააწყებინა ღრიალი“.

ქართული ჭიდაობისადმი დიდი მხარდაჭერითა და სიმპათიით იყვნენ განწყობილნი მე-19 სკ-ის ქართველი საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, სერგეი მესხი, გრ. ორბელიანი და სხვანი. დიდი ადგილი ჰქონდა სპორტის ამ ტრადიციულ სახეობას დათმობილი ქართულ იმ დროინდელ ჟურნალ-გაზეთებში – „ივერია“, „დროება“ და სხვა.

ქართული ჭიდაობის შესახებ არსებობს ცნობები უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერში. ჯიოვანი პლანო კარპინი მონღოლთა ოქროს ურდოში ყოფნისას, აღწერს ორი ქართველის ჭიდაობის ნაღვლიან ისტორიას [ისტორია მონღოლებისა, ნაკვ. 2, თბ. 1942].

1899 წ. საქართველოში იმოგზაურა ფრანგმა მწერალმა, ეთნოგრაფმა და პროფესორმა, ბარონ დე ბაიმ (1853-1931) (ამურ ოგიუსტ ლუი ჰოზეფ ბერტელი). მან ქართველთა ცხოვრება აღწერა პარიზში, 1899 წელს გამოცემულ წიგნში „კავკასიის სამხრეთ მხარეში“ („AU SUD de chaine du Cau-case“), რომლის ერთ-ერთ ნაკვეთშიც აღწერილია ქართული ჭიდაობის თავისებურებები. ბარონი დე ბაი თვითონ იღებდა წიგნში გამოსაქვეყნებელ ფოტოსურათებსაც. ილუსტრირებულ ფრანგულ გამოცემაში არის ორი საინტერესო ფოტოსურათი, რომელიც ავტორს კახეთში, „ალავერობაზე“ (საერო დღესასწაული) გადაუღია.

1947 წელს საქართველოში ჩამოვიდნენ ნობელის პრემიის ლაურეატი ამერიკელი მწერალი ჯონ სტაინბეკი და ფოტოხელოვანი რობერტ კაპა (ანდრე ფრიდმანი). მათ დაათვალიერეს ქალაქები: თბილისი, მცხეთა, გორი, ატენი, ჩაქვი, ბათუმი და სხვ. გორში ყოფნისას ამერიკელებს შემთხვევით ქართული ჭიდაობის შეჯიბრება უნახავთ, რომელიც დეტალურად აღუწერიათ თავის წიგნში.

ქართული ჭიდაობის ტურნირებს ტრადიციულდ მართავდნენ საპატიო სტუმრის დახვედრისას, ხალხურ დღესასწაულებსა და უქმე დღეებში. (კვანტიძე გ., ეთნოგრაფიული სურათები XVII-XVIII სს. საქართველოს ისტორიიდან, 2010; <http://iliauni.edu.ge/uploads/other/1/1485.pdf>).

ჭიდაობა ასევე თან სდევდა რიტუალურ-სანახაობითი ხასიათის თუ სხვა დღესასწაულებს. მაგ. „ბერიკაობა-ყენობის“ დროს ფალავანთა დაჭიდებისას გამარჯვებულს ყენად ირჩევდნენ [ჯანელიძე, დ., ქართული თეატრის ისტორია. წიგნი პირველი, ხალხური საწყისები, თბ., 1983].

XXს-ის 20-30იან წლებამდე ჭიდაობა ტრადიციულად, კალთებაკეცილ, საყოველღეობო ჩოხაში გამოწყობილ ფალავნებს შორის იმართებოდა (კვანტიძე გ., ეთნოგრაფიული სურათები XVII-XVIII სს. საქართველოს ისტორიიდან, 2010; <http://iliauni.edu.ge/uploads/other/1/1485.pdf>), ხოლო დღევანდელი ფორმა XX ს-ის 30–იანი წლებში შეიქმნა,

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჭიდაობა თბილისში და სხვა დიდი ქალაქებში, ხშირად ასპარეზობები სხვადასხვა უბნებს შორის იმართებოდა, მასში მონაწილეობას ღებულობდნენ არა მარტო ქალაქელები, ასევე ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოსული მოხალისეებიც. მსაჯებად ინიშნებოდნენ მაყურებლებიდან ყველაზე სახელოვანნი და დარბაისელი პირნი. წრეში წესრიგის დასამყარებლად მაყურებლები არჩევდნენ ყოჩაღ, მარდ ჭაბუკებს, რომლებიც კოხტად გამოწყობილი სახრით გარს ურბენდნენ წრეს (განის გამშლელი) და გამოწეულ მაყურებებს უკან ახვეინებდნენ, ისინი აგროვებდნენ აგრეთვე მაყურებლებში მუსიკოსებისთვის მისაცემ ფულს. ასპარეზობას იწყებდნენ მოზარდები, რომლებსაც თანდათან ჭაბუკები ცვლიდნენ და ბოლოს კი სახელგანთქმული ფალავნები გამოდიოდნენ [ბარნოვი, ა. ჭიდაობა ძველ თბილისში, თბ.1967]. თითოეულ მოჭიდავეს თავისი მომხრეები (გულშემმატკივრები) ჰყავდა, რომლებიც თავიანთ ფალავანს შემახილებითა და ყიჟინით ამხნეებდნენ.

XIX საუკუნის განთქმული ფალავნები ყოფილან: მეტივე დათა ხიზამბარელი, მედროგე ურეხა, ივანე ყირიმელაშვილი (კულა გლდანელი), ნიკა მეტეხელი, სარქისა ავლაბარელი (თოხანა) და მრავალი სხვა. ასევე ცნობილი ხდება ისიც, რომ აღნიშნულ შერკინებაში შეხვედრები ქალბატონებს შორისაც იმართებოდა [ბარნოვი, ა. ჭიდაობა ძველ თბილისში, თბ.1967].



ქართული ჭიდაობა XIX ს-მდე იმართებოდა ღია ცის ქვეშ, საგანგებოდ შერჩეულ მოედნებზე. თბილისში საჭიდაო მოედნები იყო ხარფუხში, მთაწმინდაზე, დიდუბეში, გლდანში („გარე წრე“), შავნაბადაზე („საყინულე“) და თითქმის ყველა უბანში. საჭიდაო სივრცეებს საკუთარი სახელები ჰქონდათ, რომელთა ნაწილი ქალაქის ტოპონიმად იქცა. ასეთებია: „იტალიელების ბაღი“, ე.წ. „გრიშუას ბაღი“, „მუშტაედი“, „ნეაპოლი“, „გოგილოს აბანო“, „ჩიხრაძეების სახერხი“, „ტრამვაელთა სახლთან“, „ფიქრის (ფეიქრების) გორა“ და სხვ. საჭიდაო ადგილები მოწყობილი იყო ვერის სასაფლაოს ახლოს, მახათას მთაზე, იაგორას ბალაგანზე, არსენალსა და ევროპის ბაღში, ხუდადოვის ტყეში. დიდუბეში-ღვთისმშობლის ეკლესიის მახლობლად, ძველი იპოდრომის პირდაპირ, მტკვართან, თავად ციციშვილს თავის მამულში მოწყობილი ჰქონდა გადახურული საჭიდაო მოედანი, რომელსაც „კნიაზების კრუგს“ უწოდებდნენ. სოფლებში, ისევე როგორც ქალაქებში საასპარეზო მოედნებს შერქმეული სახელებით მოიხსენიებდნენ. როგორცაა „საფალავნო ტყე“, „საჭიდაო ველი“ და სხვ. XIX ს-დან საჭიდაო ღია სივრცეს ცირკის არენები შეემატა, სადაც ქართულს გარდა იმართებოდა ფრანგული ჭიდაობები. XX ს-ის 20-30-იანი წლებიდან დადგინდა საჭიდაო მოედნის სტანდარტი. რომლის მიხედვით, სარბიელი 8-10 მეტრი დიამეტრისა უნდა იყოს, სწორი, და უნდა ჰქონდეს არანაკლებ 15-20 სმ. სისქის ნახერხის, თივის ან სილის ფენა, განისაზღვრა ჭიდაობის ხანგრძლივობა. სოფლად, სადღესასწაულოდ ან სახელდახელოთ მოწყობილი მოედანი ქვებისგან გაწმენდილი, ბალახის, თივის ან ნახერხის საფარიანია.

9. ობიექტის დღევანდელი მდგომარეობა

1. პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებადი	X
2. საშუალოდ გამოყენებადი	
3. მინიმალურად გამოყენებადი	
4. მივიწყებული	

9.1 ელემენტთან დაკავშირებული მდგომარეობის მოკლე აღწერა

თანამედროვე მონაცემებით, საქართველოში ფუნქციონირებს „საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია“, რომლის მიზანია ქართული ჭიდაობის ტრადიციების დაცვა, და მისი შემდგომი განვითარება. გარდავ აღნიშნულისა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია არასამთავრობო ორგანიზაციები, რეგიონალური ფედერაციები, ჭიდაობის შემსწავლელი წრეები, სექციები. ხშირად საჯარო სკოლებში ჭიდაობის სამოყვარულო წრეებია გახსნილი, სადაც მწვრთნელ-მასწავლებლები მოზარდებს ასწავლიან სპორტის ამ ტრადიციულ სახეობას.

ეროვნული ფედერაციისა და რეგიონალური ფედერაციების ორგანიზებით სოფლებსა თუ ქალაქებში ტარდება ასაკობრივი და ეროვნული ჩემპიონატები, სახელობითი ტურნირები. ქართული ჭიდაობა სოფლებში ხალხურ დღეობების განუყოფელი შემადგენელია.

საქართველოს ქალაქებსა და რეგიონებში (ქარელი, სოფ. ხოვლე, სამთავისი და სხვ.), გამართულია თანამედროვე სტანდარტების მქონე საჭიდაო დარბაზები, სადაც იმართება საერთაშორისო დონის შეჯიბრებები თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. შემორჩენილია ასევე ტრადიციული, ღია ცის ქვეშ გამართული საჭიდაო მოედნები .





ფედერაციის თუ სხვა სპორტული ორგანიზაციების მიერ გამართული ასპარეზობების გარდა, დღეისათვის საქართველოს ზოგიერთ სოფელსა თუ რაიონში გავრცელებულია შერკინების ტრადიცია ღია ცის ქვეშ, სპეციალურად გამოყოფილ, ნახერხითა თუ ბალახით დაფარულ მოედანზე. ასეთი ასპარეზობა თან სდევს რელიგიურ დღესასწაულებს (გიორგობას, მარიამობას, აღდგომას, კვირაცხოვლობას, ქრისტეშობას, წინობას, ღვთისმშობლობას, ამაღლებას, ბზობას, სამებობას, ხარებას, ფერისცვალებას, ჯვრის ამაღლებას პეტრე-პავლობას, ნათლისღებას, იოანე ნათლისცემლობას და ა.შ.)

აღნიშნული დღესასწაულების გარდა, საქართველოს ბევრ სოფელში ზაფხულობით, სახალხო თავყრილობისა თუ ზეიმის მთავარი მოვლენა თითქმის ყოველთვის არის ქართული ჭიდაობა (თელეთში - თელეთობა, ზერტში - უსანეთობა, ბეშუმში - შუამთობა, ფოლადაურში - მარეთობა, ხაშურში - გორთაობა, ქსოვრისში - ლაშრობა, ახალგორში - ერისთაობა, მარტყოფში - აპარნობა, თეთრწყლებში - სამასარაგველობა, იყალთოში - შოთაობა, სიღნაღში - ვანობა და ა.შ.)

აღნიშნული ასპარეზობაში ნებისმიერი მსურველი ერთვება. მოჭიდავეებს ჭიდაობაში გამოცდილი თანასოფლელი განსჯის და გამრჯვებულსაც ის გამოავლენს. სახალხო ასპარეზობას სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი სიხარულითა და ენთუზიაზმით ელოდება.

საქართველოში, ღია ცის ქვეშ ჭიდაობის ტრადიციის შენარჩუნებისათვის, სასურველია ახალი, ტრადიციული საჭიდაო მოედნებისთვის შესაბამისი სივრცის გამოყოფა, რაც ხელს შეუწყობს ტრადიციის გაგრძელებას მომავალ თაობებში, მათ დაინტერესებას და შესაბამისად, ფიზიკური აქტივობის ცხოვრების წესად დანერგვას.

ღია ცის ქვეშ მოწყობილი ტრადიციული საჭიდაო სივრცეების გამართვა ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისითაც მომგებიანი იქნება. გაიზრდება ტურისტების მეტი დაინტერესება ქართული ტრადიციული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის - ჭიდაობის მიმართ.

ქართული ჭიდაობის სახელოვანი წარმომადგენლები არიან:

ქრისტეფორე ნინიაშვილი და ბიძინა მაზიაშვილი, რომლებმაც აღზარდეს ევროპის, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო პირველი ჩემპიონები: ანზორ კიკნაძე, ანზორ მარტყოფლიშვილი, რამაზ ხარშილაძე.

გურამ პაპიტაშვილი და გივი ზაუტაშვილი, რომლებმაც აღზარდეს ევროპის, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონები: ანზორ ქიბროწყაშვილი, შოთა ჩოჩიშვილი და თემურ ხუბულური.

სიმონ მაისურაძე – გამოჩენილი ქართული ჭიდაობის ოსტატი, მწვრთნელი და წიგნის ავტორი „ქართული ჭიდაობა“ (1984 წ.). და სხვა მრავალი.



9.2 მოსალოდნელი რისკები

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ჭიდაობა ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში, მის ტრადიციულობას საფრთხე ემუქრება, იკარგება კუთხური ჭიდაობის საუკეთესო, ძირძველი ილეთები. ღია ცის ქვეშ საჭიდაო ასპარეზოების ტრადიციის მოშლა, რეალურ საფრთხეს უქმნის ჭიდაობის კულტურული მრავალფეროვნების გამოხატულებას.

10. ელემენტარ დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია (შენიშვნები, რეკომენდაციები, წინადადებები)

ქართული ჭიდაობის, როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის, ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნებისა და იდენტობის გამომხატველი ტრადიციის დაცვისა და პოპულარიზაციის თვალსაზრისით, დღის წესრიგშია სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება. 2014 წელს, ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ, სახელმწიფოს მხარდაჭერით შეიმუშავა ქართული ჭიდაობის განვითარების გრძელვადიანი (2014-2020) პროპგრამა, რომელიც საქართველოს სპორტისა და

ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარდგენით, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ (განკარგულება N601, 4.04.2014). აღნიშნული პროგრამის განხორციელების ვალდებულებას იღებს როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო სექტორი, ადგილობრივი თვითმმართველობა, თემები.

ქართული ჭიდაობის მრავალფეროვნებისა და მნიშვნელობის, მისი როგორც ტრადიციის, შესანარჩუნებლად, საჭიროა რამდენიმე მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობით ადგილებზე, სოფლებში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ტრადიციული საჭიდაო მოედნებისთვის ადგილების გამოყოფას; ხელი უნდა შეეწყოს საერო და რელიგიური დღესასწაულების დროს ტურნირების გამართვას, უნდა მოხდეს ჭიდაობის ლოკალური თავისებურებების გამოვლენა, ფიქსირება და შესწავლა, მათი პოპულარიზაცია. უნდა წახალისდეს საგანმანათლებლო სისტემაში ჭიდაობის შემსწავლელი წრეებისა და სექციების მუშაობა, გაიმართოს ორგანიზებული ტურნირები, გაუმჯობესდეს იმფრასტრუქტურა და ა.შ.

11. ობიექტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და ბიბლიოგრაფია (დასახელება, რაოდენობა, შენახვის ადგილი)

10.1 სააღრიცხვო ბარათი	
10.2 გრაფიკული მასალა	
10.3 ფოტოები, ვიდეო, მულტიმედია	
10.4 ბიბლიოგრაფია	<ol style="list-style-type: none"> 1. აბულაძე, ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი თბ.1973 2. ბარნოვი, ა. ჭიდაობა ძველ თბილისში, თბ.1967 3. ბერიძე, თ. ძველი თბილისის სურათები, 1980 4. გაზ. სოფლის ცხოვრება, თბ., 1966 5. გაზ. „ლელო“ 1957. 3, X, N119 6. გამბა ჟაკ ფრანსუა, „მოგზაურობა ამიერკავკასიაში 1820-24 წლებში“, თბილისი, 1987 7. ელაშვილი, ვ. ქართული ჭიდაობა, თბ. 1975 8. თომაშვილი, ი. - „ქართული ჭიდაობა“ 9. ისტორია მონღოლებისა, ნაკვ. 2, თბ. 1942 10. კოლუა, კ. ბრინჯაოს მორკინალთა გამოცანა, თბ. 1966 11. მაისურაძე ს., „ქართული ჭიდაობა“, თბილისი, 1984;

	<p>12. რობაქიძე, ალ. „სპორტის ეროვნული სახეობანი“ (ლექციები)</p> <p>13. რუხაძე ჯ., „ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში“, მეცნიერება, 1999წ.;</p> <p>14. სვანელი, ი., ქართული ჭიდაობის სახელმძღვანელო, თბ. 1950</p> <p>15. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ. 1991</p> <p>16. ქართლის მოქცევისა სუმბატისა და ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითისა, ტფ, 1890</p> <p>17. ჩხატარაიშვილი, ქ., „ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში“, თბ. 1979</p> <p>18. ჩხეტია, შ., თბილისის ისტორიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ტფ., 1938</p> <p>19. ციბაძე, ა., ქართული ორჭიდი, როგორც ქართველ მხედართა სამხედრო-ფიზიკური მომზადების ქვაკუთხედი, თბ. 1963</p> <p>20. ჯანელიძე, დ., ქართული თეატრის ისტორია. წიგნი პირველი, ხალხური საწყისები, თბ., 1983</p> <p>21. Гиоргадзе, М., Физическая культура в Древней Грузии //Сборник трудов Грузинского Гос. ин-та физ. культуры. – Т. III. – Тб.,1961</p>
--	---

12. სტატუსის მინიჭების ინიციატორი (მიუთითეთ საკონტაქტო ინფორმაცია)

ააიპ „ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია“.

13. ბარათის შემდგენელი (ასევე მიუთითეთ საკონტაქტო ინფორმაცია)


ვლადიმერ ნუცუბიძე 577 17 80 22; (გადაამუშავა გულიკო კვანტიძემ 21.12.2016)

14. ბარათის შედგენაში მონაწილე (აკმ-ს)მატარებლები და მათი საკონტაქტო ინფორმაცია

გელა ბერუაშვილი 555 20 01 04; ვალერი პარუნაშვილი - 592 50 40 15; ოთარ ყურაშვილი - 599 55 24 83; მალხაზ ბერუაშვილი - 577 60 49 60; ჯემალ მჭედლიშვილი - 579 00 80 00.

15. სააღრიცხვო ბარათის შედგენის თარიღი

26.03.2014, განახლებულია 12.12.2016



ქართული ჭიდაობა


მარტივი კომბინაციები

საკომბინაციო ილქითები	ძირითადი ილქითები
ბარემ სარმა	ბარემ სარმა
ბარემ სარმა	წელ მოგვერდი
ბარემ სარმა	ზურგ მოგვერდი
ბარემ სარმა	თემო
ბარემ სარმა	ბარემ თემო
ბარემ სარმა	ჩოქელა კისრული
ბარემ სარმა	მოგვერდ სარმა
ბარემ სარმა	აქონებული შუასარმა
თემო	თემო
მოგვერდ სარმა	შუა სარმა
შუა სარმა	მოგვერდ სარმა
შუა სარმა	ზეზელა კისრული
ზეზელა კისრული	შუა სარმა
მუხლქვეში შუაპური	ბარემ უხედავბილი მოგვერდი
ჩაკეტილი შუაპური წინგლებით	ღრმა მოგვერდი
წელ მოგვერდი	ზურგ მოგვერდი
ზურგ მოგვერდი	მხარიღლივ მუხლქვეში შუაპური
ბან გაქონებული შუასარმა	ცალმხრივი თემო
ზეზელა კისრული	ჩოქელა კისრული
მკლავური ბარემპური	ბარემ უხედავბილი მოგვერდი
ბარემ თემო	მოგვერდ სარმა
მხარიღლივ თემო	ზურგ მოგვერდი

რთული კომბინაციები



ძირითადი ილქითები	საკომბინაციო ილქითები
ბან გაქონებული შუასარმა	თემო
ბან გაქონებული შუასარმა	თემო
აქონებული შუასარმა	თემო
აქონებული შუასარმა	თემო
ბან გაქონებული შუასარმა	ბარემსარმა
ბან გაქონებული შუასარმა	ბარემსარმა
თემო	ბარემსარმა
თემო	თემო
თემო	აქონებული შუასარმა
თემო	თემო
თემო	ბან გაქონებული შუასარმა
თემო	თემო
ზეზელა კისრული	ზეზელა კისრული
ზეზელა კისრული	შუასარმა
მოგვერდ სარმა	ბარემ თემო
მოგვერდ სარმა	შუასარმა
ბარემ სარმა	ბარემ სარმა
ბარემ სარმა	ბარემ თემო

ქართული ჭიდაობა




(თ) - თავდაცვა (ს) - საწინააღმდეგო

ქართული ჭიდაობა




(თ) - თავდაცვა (ს) - საწინააღმდეგო


მაჯურა რკინემა
(შეტყვების ჯგუფი)



მკურნა ჭილაობის ვანდები








ქართული ჭიდაობა

პირითადი ფანდების, თავდაცვისა და საწინააღმდეგო ხერხების კლასიფიკაცია ი. თომაშვილის მიხედვით



(T) - თავდაცვა (S) - საწინააღმდეგო

National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

Intangible Cultural Heritage

Inventory Card

№15



1. Specify the name of the element

Georgian Wrestling

2. Specify the type of the element

1 Oral tradition and form of expression	
2 Performing art	X
3 Social Practices, rituals and festive events	X
4 Knowledge and practices concerning nature and the universe	
5 Traditional craftsmanship	X

3. Specify the area of element's spreading

1. Current area of spreading	Georgia (the whole country)
2. Historical area of spreading	Contemporary and historical Georgia
3. Place of origination	Historical Georgia
4. Cultural space	

4. Identify the time of formation of the element

About VI-V c.c. B.C. (Elashvili, V., "Georgian Wrestling", Tb., 1975; newspaper Lelo, N119. 1957. 03.X.)

5. Function of the element

The Extract of the National Inventory Card on ICH Element of Georgian Wrestling

Original	Current
Part of martial arts; entertainment-visual contest, one of the components of ritual-entertainment festival	Sport, entertainment, amusing performance

6. Bearers of the element

1. Communities	<p>Major part of male population of Georgian villages and towns (from 6 up to approximately 45 years)</p> <p>Mainly Shida Kartli, Kvemo Kartli, Kakheti, Svaneti, Imereti, Adjara, Racha-Lechkhumi, Samegrelo, Guria communities and the population of Georgian towns.</p>
2. Groups	<p>Sport groups and sections, operating in educational-training institutions, sports clubs, district community centers, other institutions.</p>
3. Individuals/ families (it is desirable to specify quantitative indicator, specific surnames and names)	<p>Beruashvili family from Kareli community (Shida Kartli), Davitashvili family from Akhmeta community (Kakheti), Kurashvili family from Kaspi community (Shida KArtli), Khabareli family from Kareli community (Shida Kartli), Mchedlishvili family from Gori (Shida KArtli), Mumladze family from Lagodekhi community (Kakheti); Khubuluri family from Skra community (Shida KArtli), Guram Tushishvili – Tbilisi, Zakaria Mokhiashvili – Tbilisi, Mamulashvili Giorgi – Kaspi community (Shida Kartli), Shota Chochishvili – Gori (Shida KArtli), Giorgi Gachechiladze – Zestafoni (Imereti), Koba Goletiani family – Tsageri community (Racha-Lechkhumi), Albert Zurabiani – Svaneti, Murtaz Turtia – Samegrelo, Beqa Ghviniashvili – Rusi community (Kvemo Kartli), Otar Kurashvili – Tbilisi, Valeri Parunashvili –Saragejo community, Gocha Osadze – Tbilisi, Guram Samkharadze – Kvareli community (kakheti), Rezo Tabukashvili – Mtskheta, Nikoloz Melikishvili – Rustavi (kvemo Kartli), Zviad Niguriani – Mestia community (Svaneti), Robert Dzidzishvili – Dusheti community (Mtskheta- Mtianeti region), Mamed Mamedov – Marneuli community (Kvemo Kartli), Mamed Mamedov – Telavi (Kakheti), Vakhtang Zoidze (Kobuleti), etc.</p>

7. Institutions, organizations, etc. involved in practicing/ preservation/ revival of the element (or related to it)

Preservation and popularization of “Georgian wrestling” is implemented by number of governmental and non-governmental organizations. Coordination and harmonization of their actions, facilitation of practicing wrestling in local communities are carried out by NGO “National Federation of Georgian Wrestling”, which, during the period of its operation, facilitated establishment of regional federations in the regions of Georgia. NGO Kakheti Regional Federation of Georgian Wrestling, NGO Shida Kartli Regional Federation of Georgian Wrestling, NGO Imereti Regional Federation of Georgian Wrestling, NGO Kvemo Kartli Regional Federation of Georgian Wrestling, NGO Samegrelo- Zemo Svaneti Regional Federation of Georgian Wrestling, NGO Tbilisi Federation of Georgian Wrestling, NGO Adjara Federation of Georgian Wrestling, International Charity Fund “Kartu”, sport schools, sport associations, etc. are involved in preservation and popularization of Georgian wrestling at local level.

The following institutions work towards research, preservation and popularization of Georgian wrestling in educational sector of Georgia as well as at the governmental level: the Ministry of Sports and Youth Affairs of Georgia, Georgian State Educational University of Physical Training and Sports, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, National Archive of Georgia, Ilia Chavchavadze National Library of the Parliament of Georgia, local self-governance, public and private schools, etc.

8. Description of the element

Georgian wrestling is men’s contest, oriented towards physical training and strength; the oldest traditional martial-sports contest, which lost its martial function and turned into effective, sports performance since the 19th c. The element is the complex one, its specificity is conditioned by the unity of fighting, music, dancing and clothing; it is mostly held in the open air, on bounded ground (ring), covered with either grass or sawdust or hay, at agreed time, in the circle, formed of fans; the area shall be cleared of stones in advance. The beginning of the contest is indicated by music (oriental Zurna, Georgian drum). First young guys begin wrestling, than adult wrestlers continue.

The rivals change places by shaking hands and begin fighting by grabbing chokha. The contestants become more and more active and, using special moves, try to gain an advantage of the rival. The music, in the course of the contest, kindles fighting capacity, dictates tempo-rhythm and adds excitement to the contest. The fight is effective, impressive and attracts great number of fans.

The contest lasts five minutes. The winner is determined on the basis of higher scores. The person, fallen on shoulders by “pure falling” is a loser. It is forbidden to continue fighting with a fallen rival. On finishing the fight, wrestlers often leave the ring, performing the moves of Georgian dance; often the winner is given a ram or other prize.

Georgian wrestling is distinguished from traditional martial sports by specific moves, which, basically, are common in different regions of Georgia; nevertheless, there are local differences.

The diversity of Georgian wrestling is accompanied by multiplicity of moves, most of which have retained their old names to our days. These are: Kauri-s, Ghojuri-s, Tedzo-s (hips), Mogverdi-s, Kisruli-s, Sarma-s, etc. The moves are basically divided into 8 groups.

Sarma is the action, when the contestant places his leg between the rival’s legs; with the heel and back of the shin,

holds the back of the rival's shin and pulls towards himself with the leg, and pushes the rival with hands. There are different variants of sarma: "amosmuli shua sarma", "kusluri", "garesarma", "gangamokruli shusarma", "gamokruli shuasarma", etc.

In the case of **kauri**, the wrestler holds rival by chokha (Georgian national male dress) with one hand, and the rivals belt, over the shoulder, with the other hand, places his leg between the rival's legs, turns round, raises the rival, pushing with leg and hips and makes him lose balance, pools towards himself and throws him supine. Kauri-s also have different variants: "mklauri garekauri", "mukhlkvesha shua kauri", "chaketili shua kauri", etc.

In the case of **tseruli** wrestler presses the front of the rival's shin with the front part of his foot, pulls him with one hand, holding his shoulder, and pushes the rival, who is out of balance, with the other hand. Tseruli also has its versions: tseruli with holding shoulders and hips, tseruli with holding shoulders, etc.

Ghojuri is the action, when the wrestler places his hands around the rival's waist, pulls him towards himself, raises suddenly and throws his supine on the ring by turning to the left or to the right. Ghojuri's versions are: "tsinaghojuri", "ukanaghojuri", "gverditi ghojuri".

In case of **mogverdi**, a wrestler holds his rival with belt and khokha, places one leg forward and the other – backward, shifts balance center to the leg in the front, slightly bends his knees, sliding his side under the rival's belly, pushes his belly; then straightens his knees, takes the rival over and throws him. The versions of mogverdi are: "mokle mogvedri", "mklavchaketili mogverdi", "ghrma mogverdi", "grdzeli mogverdi", etc.

In case of conducting **tedzo**, the wrestler grabs the rival's chokha and belt, shifts balance to the front leg, steps the other leg between the rival's legs, slightly bends his knees, leans his hip against the rival's thigh and belly, pushes the hip; straightens his knees, pulls him with his hands and throws supine over the hip. Tedzo also has its versions: "ormkhrivi tedzo", "khelmokhveuli tedzo", "shemobrunebuli tedzo", etc.

In case of conducting **kisruli**, the wrestler will grab the rival's chokha and make him lose balance with deceptive motion, swiftly turn, slip his shoulders and waist under the belly and shoulders, straighten his knees and take the rival on the back, bend forward, pull him over his neck and throw down.

In case of conducting **bruneba**, the wrestler will lift the rival, during tedzo or shua kauri, with his hands and leg, and throw back, supine. Bruneba has different versions: "shua kauris bruni", "khelgadavlebuli shua kauris bruni", etc.

Presently about 200 moves and counter-moves of Georgian wrestling are recorded. Creativity and skillfulness of the wrestler are determined by the combination of moves.

Chivalry is characteristic for Georgian wrestling. It is unacceptable to run away from the wrestling ring, fight with the fallen rival, attempt to injure the rival intentionally. The fight is a direct one: hand fights with hand, leg – with leg, hip - with hip. Sneaking up or insidious action is excluded. When beginning wrestling, the wrestlers shall stand face to face, if one of them falls down during wrestling, it is inadmissible to continue fighting with him, pushing him or rolling him out of the ring.

Perfection of wrestling, transferring from generations to generations takes place in families, villages, communities. From early spring to late autumn, adolescents, being in the open air to play games, master wrestling skills without trainer, using the moves they have seen, as well as the already used and improved moves, which they have learned themselves. It is the best means of entertainment, leisure, demonstrating their own capabilities. Often, the experienced fans help them in using the moves correctly. Alongside with informal training, Georgian wrestling is taught through formal training in secondary and higher educational institutions, through physical training and

The Extract of the National Inventory Card on ICH Element of Georgian Wrestling

